№ 16 ყოველდღიური გაზეთი

წელიწადი 1. ხუთშაბათი 19 ივლისი. 1912

# ჩვენი ცხოვრება

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი, რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არაითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

ფართლეულობის მაღაზია

სავაჭრო სახლი ა. მ. ვართანოვი და ამხ.

ვორონცოვის ქუჩ. სხლი ჭიჭინაძისა.

იშოვება დიდი ძალი ახალი მოდის ფართლეულობა. ფასები ძლიერ ზომიერია და უვაჭროთ შაბათობით ნაჭრების იაფი გაყიდვა.

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

**„ჩვენი ცხოვრება“**

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევრის წლით—4 მ., სამ თვით—2 მ. და 10 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი **ა. სულაქველიძე.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: **Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе**

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი, № 6.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფ-მბეჭდავი

**გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა**

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. ახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზე კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

შუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო“** და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო“** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე და ამხანაგობა.**

მისამართი: სუდებნი ქუჩა, სახლი № 6.

## განცხადებანი

**თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ.**

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალაშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; 2) ვასილ კუციავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-დე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის სადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულიევთან.

ექიმი **ირ. ციხანოვსკი** ღებულობს შინაგან, საშარდე-სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

**თფილისი, ნაძალადევი.**

## ექიმი კბილისა

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა **ნაძალადევში** რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში.

**სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას,** აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგისს კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს. დილის 8—2 ს-მდი და საღ. 5—7 საათ.

## ჭიათურაში

ჟურნალ-გაზეთების აგენტთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ. **„ჩვენი ცხოვრება“-ზე.** მიიღება აგრეთვე ყოველგვარი განცხადებები, იმავე გაზეთში მოსათავსებლათ. ამასთანავე ზოგიერთ აქაურ მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ დროზე გაგვისწორონ მათზე დარჩენილი ანგარიში; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოვაქვეყნოთ და თუ ამ საშუალებამაც არ გასჭრა, მაშინ მათთვის უფრო შესაფერ სატიკ ზომასაც მივმართავთ.

**გაზ. ბიუროს აგენტი ჭიათურაში.**

**ფოთში** ჩვეულებრივ მიიღება ხელის მოწერა გაზ. „ჩვენი ცხოვრებაზე“ ბინაზე მიტანის არ გადახდებათ, აგრეთვე მიიღება საგაზეთო განცხადებები.

P. S. მოვაგონებთ იმ პირებს, რომლებსაც **სამი და ექვსი** თვის განმავლობაში ბინაზე მიტანილი გაზეთების ფასი არ გადაუხდია, ვთხოვთ 20 ივლისამდე შემოიტანონ.

პატივის ცემით **ს. დ. ორაგველიძე.**

**Курсистка** Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметамъ, (долголѣтняя практика) специальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

ექიმი **მ. გალობლიშვილი** იღებს ბავშთა, შინაგან და სახებით სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 1, პოლიცმეისტრის კანცელარიის პირდაპირ.

## ადგილობრივი პრესა.

ჩვენი წერილი „ხონის ინციდენტი“ ძალიან არ მოსწონებია „სახ. გაზეთს“. ის ახლა უკან-უკან მიჩოჩავს; უნდა იმ ჩიხიდან თავი დაიძვრინოს, რომელშიაც ის ბ. შინაურს ბრძნული წინამძღოლობით მოყვა. და ეს უკან ჩოჩიალი სურს კურაპატკინისებური ტიხიანი ფრაზებით, ფაქტების დამახინჯებით და სადაო საგნის დაბნელებით დაფაროს.

გაზეთს ხელთა აქვს მოხსენება ხონის განყოფილების გამგეობის, ხელთა აქვს დადგენილება კრების, სადაც სწერია: „კოლხიდას“ გამოეცხადოს გაკიცხვა გამგეობის უსაფუძვლოთ **შეურაცხყოფისათვის**“. (ხაზი ჩვენია) ეს შეურაცხყოფა, როგორც მოხსენებიდან სჩანს, გამოიხატა არა გამგეობის მოქმედების დაწუნებაში, არამედ **მოქმედების ყალბათ გადაცემაში და ცილის წამებაში.**

როგორც ვხედავთ, აქ მსჯავრი ედება ფაქტების დამახინჯებას და ცილის დაწამებას. „სახ. გაზ.“ კი თვით მოხსენებას არ ბეჭდავს, თავის მკითხველს უმალავს, მის აზრს კი ისე იცნობენ მკითხველები თითქოს მთელი დავა პრინციპიალურ ბრძოლის ნიადაგზე მოხდა, „კოლხიდამ“ მათ შეცთომა უჩვენა.

„მაგრამ „კოლხიდის“ სამართლიანი შენიშვნა ხონის მოღვაწეებმა „მავნე ჟურის კრიტიკათ“ ჩასთვალეს“-ო.

სჩანს, „სახ. გაზეთს“ ცილის წამება და ფაქტების დამახინჯება არა „მავნე ჟურის კრიტიკათ“ მიაჩნია; სჩანს ეს მისთვის პრინციპიალური ბრძოლა, შეცთომის ჩვენება ყოფილა.

ჩვენ ვხედავთ როგორ იბრძვის ეს გაზეთი დღესაც: იგი აგრეთვე მთელ საქმეს აწერს ინტრიგებს, მოყვრობა—ნათესაობას, ს—ძეებს, დებს, ან ზოგიერთ ამორჩეულ პირებს; თითქოს მათ „კოლხიდის“ რედაქციის განსაკუთრებული ქინი სჭირდეთ. ერთი სიტყვით—ჭორიკანობს ქუთათურათ.

იქნება „სახ. გაზეთი“-ს მესვეურთ ეს ჭორიკანობა პრინციპიალურ ბრძოლათ მიაჩნიათ?

„გალიორკა“ სწერდა, რომ „კოლხიდა“ ყველას, ვინც მათზე რამეს იტყვის, მაშინვე „ეროვნების მტრათ“ გამოაცხადებენო. და განა ეს ტყუილია? განა კრების შემდეგაც „კოლხიდა“ ყველა მათ მტრათ არ აცხადებს მხოლოთ იმიტომ, რომ გაბედეს და მას, „ეროვნულ ბურჯს“, გაკიცხვა გამოუცხადეს?

„სახ. გაზეთი“ თავის მოკავშირის ბრიყვულ სიტყვებს გულკეთილ გადიასავით აჯუჩებს და სამაგიეროთ ასეთ ფრაზებს ისვრის:

„საქმე ის კი არ არის, თუ როგორი აზრის პრძანდება ამა თუ იმ გაზეთის შესახებ ბ. კიკალიშვილი, ან „გალიორკა“, არამედ ის, რომ სიმართლე და ცხოვრების მიერ ნაკარნახევი ჭეშმარიტი აზრი თანაბრათ სავალდებულოა და მისაღები უნდა იყოს ყველასათვის, თუ გინდ იგი ისეთი გაზეთისგანაც იყოს წარმოთქმული, როგორიც თქვენ მიერ ათვალისწუნებული „კოლხიდა“-ა. „სახ. გაზეთი“ იმან კი არ აალაპარაკა, რომ „კოლხიდა“-სა და მასზე ვიღაცამ რაღაცა სთქვა, და ეს „ეროვნულ შეურაცხყოფათ“ იქნა ხსენებული გაზეთისაგან მიჩნეული, არამედ იმ ფაქტმა, რომ ეროვნული დაწესებულებების „მესვეურებმა“ საჯაროთ დაგმეს ამ უკანასკნელის პირდაპირი დანიშნულება და იმ გაზეთსაც, რომელმაც მიუდგომლათ დაიცვა ხსენებულ „მესვეურთაგან“ ეროვნული **საქმის ღალატი,** (ხაზი ჩვენია) ამისათვის ურცხვად და საჯაროთ კიცხვა შეუთვალეს“.

„კოლხიდის“ პრინციპები ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. რაც შეეხება ჩვენ მიერ ნაჩვენებ პირდაპირ დანაშაულობას, გაგახსენებთ ბ. შინაურის ნათქვამს: ქართულ ეროვნულ დაწესებულებას არ უნდა დაეგმო ქართული გაზეთიო.

ჩვენ აი ასეთი აზრის გამოქომაგება გიკიჟინეთ. თქვენ კი მოყოლიხართ წილადობილას სამართლიანობასა და ანბანურ ჭეშმარიტებაზე. გვიბრძანეთ თქვენი ბრძნული ენით: ესაა თქვენი ანბანური ჭეშმარიტება? ეს უნდა დაეცვა ხონის განყოფილებას?

ჩვენ ველით გადაჭრილ პასუხს, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვექნება მოგახსენოთ, რომ „კოლხიდის“ გადიაობის როლშიაც, ჩვენში დარჩეს, ძალიან მოიკოჭლებთ.

* * *

არც „კოლხიდას“ მოეწონა რასაკვირველია ჩვენი წერილი და ამაყათ გვეკითხება:

„რომელ მეორე მხარეს გრებავთ კიდევ მოუსმინოთ? განა მეორე მხარე არ იყო გძელი კუსტოდევ ჭყაპანიძისა გუშინ წინათ თქვენს გაზეთში დასტამბული?!“-ო.

„მეორე მხარე“ ბ. ბ. წერანდელით თქვენ თქვენ უნდა პასუხი გასცეთ თქვენს წინააღმდეგ მომართულ ბრალდებას. მარა არსებითად და არა სიტყვის ბანზე აგდებით, თითქოს ვინმეს ეროვნების პატივი შეელახოს. სადაო კითხვა მარტივია: დასწამეთ თუ არა ცილი ხონის განყოფილების გამგეობას, დაამახინჯეთ მათი მოქმედების ფაქტები თუ არა და სხვ.

აი რაზე უნდა აგოთ პასუხი, აი რა პასუხს ვუცდით ჩვენ.

„კოლხიდა“ სწერდა, რომ კრებას მხოლოთ „ერთი აზრის მექონნენი“ დაასწრეთ. ამით მას სურდა, თავის მკითხველისათვის ეთქვა, თითქოს გაკიცხვა მას ამ „ერთი აზრის მექონეებმა“ გამოუცხადა და ამით მისთვის არა სასიამოვნო ფაქტის მნიშვნელობა გაენელებია და ერთავად პარტიული ინტრიგის შედეგი გამოეტანა.

„კოლხიდის“ ეს ოინი აღნიშნა „გალიორკამ“, მან აუწყა გაზეთს, რომ კრებას მარტო „ერთი აზრის მექონნენი“ კი არ დასწრებიან, არამედ ისეთებიც, რომლებსაც უფრო მეტი საერთო „კოლხიდასთან“ აქვს, ვინემ იმ „ერთი აზრის“ მექონეებთან. „კოლხიდას“ ეს არ სჯერა და გვეკითხება: „მერე სადა ჩანან ისინიო. სად არიან ეხლა რა მოგახსენოთ და მაშინ რომ კრებაზე იყვენ ამას კი გადაჭრით ვამბობთ. კრებას დაესწრო სულ 19 კაცი. ამათში მხოლოთ შვიდი იყო იმ „ერთი აზრის“ თანამგრძნობნი, დანარჩენი 12 კი „მეორე აზრის“ თანამგრძნობნი. და თუ კრებაზე „კოლხიდის“ საქციელის დაფასებაში მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა —ცხადია ამის მიზეზია თვით „კოლხიდის“ საქციელი, რომლის დაფასება ასე ნათლად გამოიხატა რეზოლიუციის ერთხმათ მიღებაში.

### საჭირო განმარტება.

ზოგიერთი ქალაქის გამგეობებმა, რომელთაც კანონით მინდობილი აქვთ საარჩევნო სიების შედგენა (მაგ. ქუთაისისამ) პენსიონერებისა და ბინის დამქირავებელთაგან განცხადების მისაღებათ, მარა საარჩევნო სიები ამ ვადაზე არ გამოუქვეყნებიათ, ქ. გამგეობა კი საარჩევნო კანონის მე-56 მუხ ძალით ვალდებულია განცხადებები მიიღოს ყოველთვის, სანამ სიებს დაბეჭდავდეს და გამოაქვეყნებდეს. აი რას ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტება ამის შესახებ:

**„დაწესებულებები, რომლებიც საარჩევნო სიებს ადგენენ, ვალდებულნარიან მიიღონ განცხადებები ამომრჩევლებისაგან იმ დღემდი, სანამ სიებს ფაქტიურათ გამოაქვეყნებდენ.“**

აქედან, და თვით კანონის ტექსტიდანაც, აშკარათ სჩანს, რომ ქ. გამგეობამ ამრჩევლებისაგან უნდა მიიღოს განცხადება მათი სიაში შეტანის შესახებ მანამ, სანამ სიებს არ გამოაქვეყნებს.

ამიტომ ბინის დამქირავებელმა და პენსიონერებმა უნდა განაგრძონ განცხადებების შეტანა ქალ. გამგეობაში.

## ახალი ამბები.

✦ მომავალი არჩევნების ხელმძღვანელებლათ თავად-აზნაურთაგან დაინიშნენ: საგუბერნიო საარჩევნო კომისიაში მარშალი კ. დ. ნიჟარაძე, მაზრების—ნიჟარაძე, კ. დ. ერისთავი, ა. ს. წერეთელი, ი. თოფურია, გ. კ. დადიანი. დ. ი. ჯაფარიძე და ა. ა. დადეშქელიანი. ქუთაისის სახაზინო პალატისაგან საარჩევნო კომისიაში დანიშნეს შემდეგი ხარჯის ამკრები ინსპექტორები. შლესბოვი, ჩხეიძე, ბახტაძე, გუსოვი, სენიავინი მდივნიშვილი და შოთაძე.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა ჯერ კიდევ ღებულობს განცხადებებს ქუთათურ იმ ბინის დამქირავებელთაგან, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. განცხადებების მიღება საარჩევნო სიებში ჩასატანათ გაგრძელდება მანამდე, სანამ საარჩევნო სიები საბოლოოთ არ გამოცხადდება.

✦ რუსული გაზეთების ცნობით-მეოთხე სახელმწიფო დუმის დეპუტატთა ამრჩევლების არჩევნები დაინიშნება გლეხებისთვის 10 ეკენისთვეს, მიწათ-მფლობელთათვის 15 ეკენისთვეს, მოქალაქეთათვის 15 ოკტომბერს და საგუბერნიო 25 ოკტომბერს.

✦ ქუთაისის სახალხო შკოლების დირექციას განზრახვა აქვს კულაშის სახაზინო ნორმალური ორ-კლასიანი სასწავლებელი გადაიტანოს ჯიხაიშში.

✦ ქ.-შ.-წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილებას—ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გამართოს ს. გუბში საღამო აქ არსებულ აკაკის სახელობის უფასო სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოთ.

✦ რუსეთის გაზეთების ცნობით—სინოდმა უკვე ცირკულიარები დაუგზავნა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიის სამღვდლო ეპარქიის უფროსებს. სინოდი მოითხოვს ეპარქიის უფროსისაგან აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეოთხე დუმის არჩევნებში სასურველ კანდიდატების ასარჩევათ.

✦ ცნობილი ბაქოელი მილიონერის ტაგიევის საქმეს თფილისის სამოსამართლო პალატა 27 ენკენისთვეს გაარჩევს.

✦ 17 ივლისს ქუთაისის სადგურზე ჟანდარმებმა დაიკავეს სატახტო ქალაქის გაზეთ „Рѣчь“-ის 189.

✦ **მგოსანი აკაკი** დღეს ჩამოვა თფილისიდან ქუთაისს. აქედან ის ხვალ გაემგზავრება ონში.

✦ ქ. ქუთაისის გამგეობამ ბევარა დაადგა ფეხის მენდელებს, რომლებიც დილიდან-საღამომდე ქუჩაში...ან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკმა-პურისათვის ორ კაპიკს ძლივს შოულობენ. ბეგარის აღება იჯარით გასცა კიდეც. ალბათ აქედან შამოსული კაპეიკებით ფიქრობენ ქალაქის ცარიელი კასის გავსებას.

**თფილისი.**

✦ მომავალს წელს ქალაქი დახმარებას აღარ აღმოუჩენს იმ საქველმოქმედო დაწესებულებებს, რომელთაც ქალაქის გამგეობას თავის მოქმედების ანგარიში არ წარუდგინეს. გამგეობამ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვიდან უკვე ამოშალა ამ საზოგადოებათათვის მისაცემი ფული.

✦ მეექვსე უბნის პოლიციას 14 ივლისს კახეთის რკინის გზის მოიჯარადრემ გერ-გან შმულ მორდუხოვ სლუცკიმ, რომელიც პრიბლევის ქუჩაზე, სახლში № 13 სცხოვრობს, შემდეგი განუცხადა: დღეს. საღამოს 6 საათზე, ლოჯინიდან ვაზიანში წავედი სამუშაოს დასათვალიერებლად, ხოლო კასირი ხელმსკი ლოჯინში დავტოვე, რათა მუშებისათვის ფული დაერიგებინა. შვიდის ნახევარზე ლოჯინში დავბრუნდი და, როგორც კასირმა და 70 მუშამ მითხრეს, იქ ვიღაც სამს უცნობს ფულის დარიგების დროს რევოლვერის სროლა აუტეხნია. მუშები დაფანტულან, ხოლო უცნობებს კასირისთვის 2, 500 მან. წაურთმევიათ და პატარა ლილოსკენ გაქცეულან. უცნობთა კვალს ვერ მიაგნეს.

✦ **ტუსაღთა გაქცევა და ერთის ტუსაღის მოკვლა.** 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე, იქიდან, სადაც საგუბერნიო ციხის ახალ შენობას აგებენ, გაიქცენ სამუშაოზე გაყვანილი ტუსაღნი: არსენ ზაქარიას ძე ლაზარაშვილი დუშეთის მაზრის, სოფელ ციხიას მცხოვრები, რომელსაც ყაჩაღთა ბრბოში ჩაწერისათვის 4 წლის ციხე ქონდა მისჯილი და სანდრო თომას ძე ყაზაშვილი, გორის მაზრის სოფელ ღვრიას მცხოვრები, რომელსაც 8 წლის ციხე ქონდა გადაწყვეტილი. ყაზაშვილმა დამალვა მოასწრო, ხოლო ლაზარაშვილი შეამჩნიეს და რადგანაც არ გაჩერდა, ციხის დარაჯებმა თოფები ესროლეს და მოკლეს. („ს. გ.“).

# დეპეშები.

პ. ტ. ს.

17 ივლისი.

**უცხოეთი.**

**ტოკიო.** გარდაიცვალა იაპონიის იმპერატორი.

# სახელმწიფო დუმის ამრჩეველთა საყურადღებოთ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ქონებია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს დუმის არჩევნებში

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, ის მოვალეა, რომ დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის „უპრავაში“ (12-ტ **ამ თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე თფილისში** (და სხ.) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიაში არ შეიტანებენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი, მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, მას არ ერთმევა არჩევნების უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ახლა შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ქუთაისში ეს მოხდება 12 კვირიკობისთვეს შემდეგ, თბილისში კი 8 აგვისტოს), შემდეგ კი დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი და ამისგამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცთილობდენ, ეს დრო არ გაუშვან ხელიდან განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის თავის სახელზე საქმე დღით დილის ათ საათიდან. აი განცხადებების ფორმა:

ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო დუმის საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

**განცხადებებს დროს თან უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა რომ ერთი წლის განმავლობაში ბინა გაქვთ დაქირავებული.**

ასეთ მოწმობათ გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კონტრაქტები, თუ მის შესრულების დროს ხელის მოწერა დამტკიცა ან ნოტარიუსმა და ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთ კონტრაქტები ძვირათ იკვრება და ჩვეულებრივ შინაურულ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით ხდება ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას, უნდა წარედგინოს **ან ბინის წიგნი,** თუ ასეთი მოიპოვება, **ან სახლის პატრონის ან მისი მოადგილის მოწმობა,** რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ქირაობდა. დასახელებულ დოკუმენტების შემოწმებას შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. არც ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და არც პოლიციის მიერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ახლავე შეუდგენ თადარიგს.

როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება უნდა რუსულ ენაზე დაიწეროს.

**ლონდონი.** ლორდ მერსეის გამოკვლევით, დიდი ხომალდის, „ტიტანიკის“ დაღუპვის მიზეზი იყო მისი გადამეტებული სწრაფი სვლა, რის გამოც ის დატაკებია ყინულის მთას.

დოკებში 17 ივლისს დილით მუშაობა განახლდა.

**ოსმალეთი.**

**კონსტანტინოპოლი.** უცხოეთის დეპეშებზე 16 ივლისს გაუქმებული ცენზურა ისევ აღადგინეს.

პარლამენტის კრება განახლდა; ილაპარაკა რამდენიმე ორატორმა, რომლებიც წინადადებას იძლევიან—ხდომა გამოეცხადოს კაბინეტს. დეპუტატი მუსეინი ამბობს, რომ ალბანელები აჯანყდენ იმ მიზნით, რომ პარლამენტი გარეკონო. ამაზე ატყდება პარლამენტში საშინელი ხმაურობა. აცხადებენ პროტესტს, ისმის ალბანელ დეპუტატების ყვირილი: „თქვენ ჩვენ კონსტიტუციის ... ... სახლებს წვავდით“! თავმჯდომარე ვერ აწყნარებს კრებას და სხდომა წყდება.

**ჩინეთი.**

**ურგა.** აქ ძალიან აღელვებულია ხალხი კობდოდან მოსული ამბით, სადაც ჩინელებს დედოფალი ხუტუხტას მოციქულები სიკვდილით დაუსჯიათ.

**პეკინი.** კაიფინფუში კრების დროს პროვინციის დეპუტატებს მიუვარდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი და სროლა აუტეხა: დაიჭრა ათზე მეტი დეპუტატი; ავაზაკები მიიმალენ. ნაციონალურმა კრებამ ამ საქმის გამო იუანშიკაის თხოვა, რომ დამნაშავეების მოძებნა მიანდოს ხენანის დუღლას.

**კაშგარი.** ქალაქ ქსუში ჩინები მოუვიდა ჩინეთის ქვეშევრდომს სარტს ერთ რუსთან, რომელიც პოლიციელებმა წაიყვანეს სამართველოში და იქ ცემეს. ამაზე აქსუში მყოფმა რუსეთის ვაჭართა მამასახლისმა საჩივარი წარადგინა „სადაც ჯერ იყო“ და მოითხოვა რუსის დაკმაყოფილება. ჩინეთის მთავრობამ მაშინვე ადგილიდან გადააყენა მაზრის უფროსიც და პოლიცმეისტერიც რომლებმაც გალახული რუსის დაკმაყოფილებაზე უარი თქვეს.

**აჯანყება ალბანეთში.**

**რისტოვაცი.** კოსოვოს გუბერნატორმა მატარმა უარი განაცხადა სამსახურის შესრულებაზე, რადგანაც არ შეუძლია მმართოს ქვეყანა; ის კიცხავს მთავრობის განკარგულებას, რომ თავი დაანებონ ალბანელებთან ბრძოლას. ადრიანოპოლის დივიზიის კოსოვოში მოსვლამ ჯარი ძალიან გაამხნევა: კიდევ შეიძლებოდა ბრძოლის განგრძობაო, ამბობს მატარი, მარა ახლა ძალ-უფლება უკვე აჯანყებულთა ხელშია გადასული, რომლებიც მხოლოთ მაშინ შესწყვეტენ ბრძოლას, როცა ალბანეთის ავტონომია გამოცხადდება.

იპეკის მუტესარიფმა ამავე მიზეზების გამო სამსახურიდან გასვლა ითხოვა. ალბანელთა წინამძღოლმა ჰასანმა სულთანს დეპეშით მოთხოვა, დაუყონებლივ დაითხოვოს პარლამენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ალბანელები საკუთარ პარლამენტს დაარსებენო. სანჯაყის სერბებმა განაცხადეს, რომ ისინი სრულიათ თანახმა არიან ალბანელთა მოთხოვნების და ამის გამო ისინიც გზავნიან დეპუტატებს პრიშტინში.

# ლენის ამბები.

**მუშების ადრესი ვექილებისადმი.** რვა ივლისს გამოვიდა მეორე პარტია მუშებისა, რიცხვით ორი ათას კაცამდე (ცოლშვილით). ჯერ სულ გამოვიდა ორ ნახევარი ათასი მუშა. იმავე დღეს სამგზავრო გემზე მუშებმა კრება მოახდინეს დ ერთ ხმათ გადაწყვიტეს—ადრესი მიართვან მათ დასაცველათ პეტერბუგიდან, მოსკოვიდან და ირკუტსკიდან ბოდაიბოში მისულ ვექილებს. აი თვით ადრესის ტექსტი: „დიდათ პატივცემულო იურისტებო, მიიღეთ ჩვენგან ღრმა და გულწრფელი მადლობა იმ შრომისა და ზნეობრივი დახმარებისათვის, რომელიც თქვენ აღმოგვიჩინეთ საშინელ გაჭივრების დროს. გადაეცით ჩვენი ულრმესი მადლობა ყველა იმ მუშებს, რომელთაც ერთ სულოვნათ და ძმურათ გამოგვიწოდეს ხელი უბედურებაში ყოფნისას. გადაეცით აგრეთვე ჩვენგან გულწრფელი მადლობა საზოგადოებას, პრესას და ყველა იმათ, ვინც ჩვენს დასაცავათ ხმა აღიმაღლა“.

ყოფილი მუშები ლენის ოქროს მადნების დამმუშავებელ ამხანაგობისა.

**ვექილების პასუხი.** მუშების ადრესზე საპასუხოთ ნაფიცი ვექილის თანაშემწემ ტიუშევსკიმ იურისტების სახელით სიტყვა სთქვა, რომელშიც აღნიშნა, რომ ეს ადრესი, გამოხატავს რა ათასობით მუშების გულის სიღრმიდან აღმონახეთქ მადლობას, ამავე დროს იმ საუკეთესო საჩუქართაგანია, რომელიც შეუძლია ოდესმე მიიღონ ვექილებმა. ჩვენ ამას საფლავის კარამდე ვერ დავივიწყებთ.

— თქვენ მიდიხართ,—განაგრძო მან, —და ჩვენთვისაც დგებიან უფერული დღეები. თქვენი ცხოვრების უკანასკნელი ხუთი თვე ბრწყინვალე დღესასწაული იყო ამხანაგური გრძნობის, ერთობის და შეუდრეკელი ბრძოლისა. დღესასწაული იყო იმ ადამიანების, რო-

# ფელეტონი.

## ძე კაცისა.

(გაგრძელება*)

მიდის ნინა, მიდის. ის ქალაქ გარეთ მიდის. იქ გაშლილი და თავისუფალი სივრცეა, იქ სხვანაირი ზეცა დაყურებს დედა-მიწას; მაღალი, მაღალი ცა და მიწაც სხვანაირია იქ, მწვანე ბალახით მოცულია მიწა. მიდის ის და თან ფიქრობს ერთ რამეს—რომ ის მიდის გარეთ, გაშლილ ჰაერზე, თავისუფალ სივრცეზე, სადაც ზეცაცა და მიწაც, ყველაფერი სხვა ნაირია. მხოლოთ ამაზე ფიქრობს ნინა. და ვერ ამჩნევს ის, თუ როგორ გაოფლიანდა, თუ როგორ ჩქარა აბიჯებს და ვერ ამჩნევს ის, თუ როგორ ლამაზია ამ დროს, რა ეშხიანია და მიმტაცი...

და აი გავიდა კიდეც. ფართე, ფართე სივრცე გადაიშალა იმის წინ, ფართე და მწვანე. და ღრმა, მაღალი ზეცა დაადგა მას თავზე. და არც ერთი სულიერი იქ არ ჰაჰანებს, არც ერთი ადამიანი! უჰ, რა კარგია გენაცვალეთ, რა კარგია? დაწექი და დაიძინე! დაიძინე და ნუ გამოიღვიძებ! უჰ, რა კარგია გენაცვალეთ, რა კარგია! დაწექი, გულაღმა დაწექი, დაისვენე, დაღლილო ადამიანო, დაისვენე ძვირფასო, საყვარელო!

და გრილი ნიავი გაეკრა იმას, გაეთამაშა. ის ნინას უცდიდა, ის მოწყენილი დადიოდა აქ, ნინას ელოდებოდა. დასეირნობდა, გადადიოდა ყვავილიდან ყვავილზე, ყნოსავდა ერთს, მეორეს და ვერც ერთზე ვერ დგებოდა—ის ნინას ელოდებოდა. სალამი, სალამი ძვირფასს სტუმარს, სალამი, სალამი: დამშვიდდი გენაცვალე, დაისვენე... დამშვიდდი ძვირფასო, საყვარელო!

და შეუძვრა ის თმაში, კორწიალი დაუწყო. შეიშრე ოფლი, შეიშრე! და ნაზი, მოყვარული თითები გადაუსვა სახეზე, ჩაყვა ქვევით, გულ-მკერდზე მიეალერსა. დამშვიდდი გენაცვალე, დამშვიდდი საყვარელო, ძვირფასო! ოჰ, რა კარგია, რა კარგია! ის ნინას ელოდა, მისთვის შეაგროვა მან არომატი მინდვრებისა, მწვანე ველის ხალისი, შეაგროვა და ყველა ერთად გადაავლო ნინას თავზე, ის ნინას ელოდებოდა! სალამი, სალამი ძვირფას სტუმარს!.. უჰ, ღმერთო, რა კარგია, რა კარგია!

დგას ნინა და ღრმათ სუნთქავს. ღილები გაიხსნა მან, ჰილოფის ქუდი მოიხადა, თმა გაისწორა. გაისწორა თმა და კიდეც შეხედა ზეცას. და თითქოს ამ უძირო ზეცაზე წარწერა რამ ყოფილიყოს, ნინა შეკრთა და წამოიძახა:

— ნუთუ მართალია, მართალი!

და თითქოს მრავალი ადამიანი წაადგა მას თავზე, იგრძნო უცებ უხერხულობა და შევიწროება, სირცხვილის მზგავსი რაღაც. და მოუნდა მას სახის დაფარვა... და ამ სურვილისათანვე გაუჩნდა შეგნება, რომ ეს ამაოა, რომ არ შეიძლება განთავისუფლება იმ გრძნობიდან, რომელიც იმას აწუხებს, რომ ის მის გულშია და არა გარეშე, რომ ეს არის მწვავე შეგნება იმისა, რომ მან, გიორგი ადამაშვილის ცოლმა, დღეს გადასცა ქმარს წერილი. მიიფარა თვალებზე ხელი, თვალები დახუჭა. გულში კი ვიღაცას იძახოდა, ყვიროდა:

— ღმერთო! ღმერთო! ღმერთო!

მას სცხვენოდა ვიღაცის, ვიღაცა უნდოდა გაქცეოდა, დამალვოდა და ის კი დგას მის წინაშე, ხტის, ილრანჯება და იძახის:—აქ ვარ, აქ ვარ, აქ ვარ! და შესცქერის ნინას, თავიდან ფეხებამდი ათვალიერებს. და არ მიდის, არ მიდის.

მან შეუგნებლათ შეისკვნა ღილები და გადადგა ნაბიჯი; გააქნია თავი და წავიდა წინ. ნიავი გაყვა თან. ის არ მოშორდება ნინას. ის დილიდან მას ელოდებოდა, ძვირფას სტუმარს. გუშინაც, გუშინწინაც იმას ელოდებოდა—ის არ მოშორდება ნინას. ნიავი გაყვა თან—შეხე რა მშვენიერია ყველაფერი, რა მოსვენებული! ის ჩამოეკიდა პაწია თმის კონას, ყურთან რომ ეკიდა. და ეფურჩულება, ეალერსება.. მაგრამ „ისიც“ თან მიყვება, ისიც უსწრებს წინ, დგება და იცინის—აქ ვარ, აქ ვარ, აქ, აქ...

ყველაფერი დუმს, თითქოს ყურს უგდებს. მხოლოთ ქალაქიდან მოისმის გახშირებული ოხვრა ორთქლის მანქანებისა —ო-ხო-ხო-ხო-ხო-ხო! იქ ოხრავს უდიერი და ულვთო შრომა, ოხრავს მიჯაჭვული ამირანი, ოხრავს ოფლი და სისხლი მუშა ადამიანისა და აგზავნის ამ ოხვრას არემარეში... ნინას კი გონია, ეს მისი გული ოხრავს და მისი გულიდან ამომსკდარი ხმა იბნევა თითქოს ირგვლივ. და გონია ნინას მისი თავი მარტო, სულ მარტო ამ ქვეყნად.. აკი წელან ეს სურდა, აკი ამიტომ გამოიჩქარა აქეთ! ეხლა რატომ უდება ეს შეგნება ზედმეტ ტვირთად იმის მხრებს!.. ამაოა, ამაოა ნიავის ალერსი; ნინა ვერ გრძნობს მას, ვერ გრძნობს! ამაოთ ელოდებოდა ის ნინას დღეს, გუშინ, გუშინ წინ. ამაოა მისი ალერსი! მარტოა ნინა ამ ქვეყნად, მარტოა!

გაიარა მიდორი და ფერდოს მიადგა. მშვიდათ, დინჯათ ამართულიყო მის წინ გორაკი; ის გვერდებს ითბობდა მზის სხივებს ქვეშ, ის ბებერია და უყვარს მას მხურვალე მზის სხივები, მის ბებერ ძვლებს ეს სიცოცხლეს აწვდის. შეხედა ნინამ იმის მწვერვალს და მოეშო გულზე —დაებადა სურვილი ავიდეს იქ, ავიდეს, აირბინოს, იქ ის დაინახავს რაღაცას, რაღაცას გაიგებს, ახსნის რაღაცას და ის მოისვენებს. ის დარწმუნებულია ამაში.

ჩქარი ნაბიჯით, სირბილით წავიდასუნთქვა გაუხშირდა, გულმა ქშენა დაუწყო—მაინც მირბოდა და მირბოდა. ეკვებოდენ ფეხქვეშ ველური ყვავილები; უმოწყალოთ თელავდა იმათ, ყურადღებას არ აქცევდა. იქ, იქ, მაღლა მოისვენებს... და ნიავიც მისდევდა თან, არ შორდებოდა. ის ელოდებოდა, ელოდებოდა ნინას და ეხლა ეალერსებოდა საყვარელ სტუმარს, ნაზათ უსობდა სახეზე მოყვარულ თითებს—ის ელოდებოდა ნინას და ეხლა არ დანებებს თავს...

XI.

ხშირი ქშენით, ძლიან გაოფლიანებული, სახეგაწითლებული და თვალებგაფართოებული. და ავიდა გორაკზე და გადაიხედა. მარცხნით იწვა ქალაქი მისი არეული შენობებით დაკლაკნული ქუჩებით და გამჭვირვალე ბურუსით; მარჯვნით გაწოლილიყო ფართე და გძელი ველი, რომელსაც დასავლიერს საზღვრავდა მაღალი, ტყით დაბურული მთა და ამ მთისავე გრეხილში გველური კლაკვნით იკარგებოდა მოზრდილი მდინარე. ლურჯი და უძირო ზეცა დასცქეროდა არემარეს; მზის სხივები ისე როგორც ზღვაზე, ოქროს ფრად ბრჭყვიალებდენ აქა-იქ. საერთოთ კი ყველაფერი ისვენებდა, საკუთარ ფიქრებს მისცემოდა და სდუმდა, სდუმდა... მხოლოთ აქაც, ისე როგორც ქვევით, აღწევდა ქალაქიდან ორთქლის მანქანების ოხვრა-ო-ხო-ხო-ხო-ხო-ხო! ისმოდა, მაგრამ ბუნების სიმშვიდეს ვერ არღვევდა... ხარბათ გადაავლო ყველაფერს თვალი ნინამ და საშინლათ გაკვირდა. არა, ეს არ არის ის, რასაც მოელოდა, არ არის, არ არის! ის დაატყუა ვიღაცამ, დაატყუა! ეს სიმშვიდე, ეს სიწყნარე ირგვლივ, ეს...ეს კმაყოფილება! როგორ სდუმს ყველაფერი, როგორ სდუმს! დგას მთა და როდი ინძრევა. გაწოლილა გულაღმა ვეებერთელა მიდორი და სძინავს. მდინარეც წევს და სძინავს, თითქოს გამძღარი, ვეებერთელა გველი... ეს უნდოდა ნინას? ამიტომ გამოიქცა?

და უმაღლეს ულმობლობათ მოეჩვენა მას ეს კონტრასტი თავის სულიერ მდგომარეობასა და ბუნების გამომეტყველებას შორის; ის, რომ ბუნებას თითქოს აინუნშიაც არ მოსდიოდა, რომ აქ, მაღალ წერტილზე დგას ადამიანი და ღელავს მისი ტანჯული გული... ამ „გულგრილობამ“ ის მოთმინებიდან გამოიყვანა, უნებლიეთ მუჭი დაკუმშია... და იგრძნო ისევ მან, რომ მარტოა, რომ მარტოა ის და მის მეტი არავინ...

და გულ-აჩვილებული, უღონო ის დაეშვა ძირს, ჩაჯდა და მწარეთ, მწარეთ აქვითინდა. უჰ, რა კარგია, რა კარგია, რა ტკბილია ეს მწარე და უხვი ცრემლები! და ნიავი გაჩნდა იქვე. ის მიმალული იყო და თვალს ადევნებდა, ეხლა იჩინა თავი... ეს კარგია, კარგია, იტირე, იტირე ძვირფასო, საყვარელო, იტირე—კარგია! და ცხელ ლოყებზე მან გადაუსვა გრილი თითები, ჩაუბერა გულმკერდში და მიეალერსა. ის ელოდა ნინას, ელოდა გუშინაც, გუშინწინაც, დიდი ხანია ელოდა ნინას ის და ეხლა ნინა მასთან არის. მასთან არის და ტირის. ეს კარგია, კარგია, იტირე, დაიწმინდე გული, იტირე ძვირფასო, საყვარელო!

— ნინა... ღმერთო! ნუ თუ შენ გხედავ ნინა აქ! ნინა!

ნინამ მოიბრუნა კისერი და უცებ გაშრა თვალებში ცრემლი. უცებ თითქოს იგრძნო შეღავათი და გამოსავალი. ის საჩქაროთ წამოდგა ფეხზე და შებრუნდა იქითკენ, საიდანაც ჩქარი ნაბიჯით ახალგაზრდა კაცი მისკენ მოდიოდა.

— ნინა... სიზმარია ეს თუ ცხადია! ნუ თუ მართლა გხედავ შენ აქ...

— ცხადია ვასო... ეს მე ვარ, ნინა!

— ბედი! ბედი! ჩემი ბედი, ჩემი მშვენიერი ბედი! ოჰ, დიდებული ბედი! ნინა... როგორ მიცქერი! გამარჯვება ნინა!

— მე მგონია გითხარით თქვენ, რომ ჩვენ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს! მგონია გითხარით თქვენ ეს...

— კარგია ნინა, რას არ იტყვის კაცი ზოგიერთ გუნებაზე...

— მაშ ეხლაც გიმეორებთ—მე წავიდე აქედან, თუ თქვენ წახვალთ?

— ნინა.., ნუ თუ არ გჯერა, რომ შენ შენს თავს ებრძვი.

— დეე, თუ გინდ აგრე იყოს... მაგრამ თუ თქვენი სიტყვა ნიშნავს იმას, რომ მე თქვენ თითქოს, მიყვარდეთ... თუ ამას ნიშნავს თქვენი სიტყვა—სასტი-

*) იხ. „ჩვენი ცხოვრება“ № 13.

ქუთაისის განყოფილება ამხანაგობა პიებით ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. თფილისში, გიორგიევსკში, ანდიჟანში, პიატიგორსკში და გროზნაში.
С. М. КИРАКОЗОВЪ и Б. Г. ОГАНОВЪ
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
полученъ огромный выборъ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситцы другихъ тканей съ модной каймой.

მელთაც შეუგნიათ თავიანთი პირადი ღირსება, რის წინაშე ანგარიში გააწევინეთ ყველას და თუ, საუბედუროთ, სიმართლეს დღემდისაც ვერ გაუმარჯვია, იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ახლო მომავალში ასე თუ ისე უკანასკნელი სიტყვა მას დარჩება... ჩვენ გისურვებდით, რომ აქ გამოცდილ დღეთა მოგონებანი გაფრთოვანებდენ მომავალ გაჭირვების დროს. ახლა კი,—დაასრულა ორატორმა,—მიიღეთ ჩვენგან გამოთხოვების გულითადი სალამი იმ ბედნიერ წამებისათვის, რომელიც თქვენის მეოხებით ჩვენ განვიცადეთ მთელი ქვეყნის ამ აღელვებელ ამბებში მონაწილეობის დროს.

მუშებმა ერთხელ კიდევ გადაუხადეს ვექილებს მადლობა და საღამოს ათ საათზე გამოვიდენ ბოდაიბოდან.

**მადნების გაცალიერება.** პეტერბურგში ვიტიმიდან დეპეშით ცნობა მიუღიათ, რომ მუშები წესრიგის დაურღვევლათ განაგრძობენ მადნების თავის დანებებას. იქავ მისულა მუშების სამი პარტია, რიცხვით, 2,500 კაცი ოჯახებით. ყველანი ირკუტსკისაკენ მიდიან. ბევრი მუშა ეცადა სამუშაო ეშოვათ, მარა ამაოთ, არავინ არ ღებულობს ლენაში „განებივრებულ“ მუშებს. თვითონ ლენის მალაროებში თუმც კიდევ მოუმატეს ხელფასს, მარა მუშაობა მაინც ვერ გამოწყობილა. ამ ხანათ ლენის ამხანაგობას ექვსი ათასი მუშის მაგიერ ათასამდე ძლივს გააჩნია, მარა ისინიც ხამები არიან და მადნებში მუშაობას ვერ ეგუებიან. ამხანაგობის აგენტები სხვადასხვა ადგილებში მუშებს აგროვებენ, მარა ბევრი არაა თანახმა ლენელებთან მუშაობისა.

**სენატორის რევიზია.** მიუხედავათ იმისა, რომ მუშებმა თავი გაანებეს ლენის მალაროებს, სენატორი მანუხინი იმ ადგილებს მაინც არ მოშორდება. თუმც ბოდაიბოდან გამოვიდა მარა მაინც იმ მავნედით ადგილებს ტრიალიერებს, საიც უბედურება მოხდა და თან დარჩენილ მუშებს ჩვენებას ართმევს. სამი დღის უკან სენატორის წინადადებით საოლქო ინჟენერ ალექსანდროვს პეტერბურგში დეპეშით უცნობებია, რომ მუშები მოითხოვენ იმ 12,600 მ. დაბრუნებას, რომელიც ლენის ამხანაგობას ამა წლის განმავლობაში მუშებიდან მეტი აუღია. ამ დეპეშის გამო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ტიმშევმა მოსალაპარაკებლათ გამოიწვია ლენის ამხანაგობის თავმჯდომარე მეიერი, რომელსაც წინადადება მისცა სენატის გადაწყვეტილებამდე გადაეხადა ეს ფულები. თავმჯდომარემ წინადადება მიიღო.

# სევდა

1.

ჩახა გულისხმა საიმედო და დაჩიავდა...
დასჭკა ოცნება, ფრთა წაერთო და განიავდა.
ვერაც ყორანათ უფსკრულ ჭაობს გადაუფრინა..
ნაპირს ვერ მისწვდა, ტბას ჩაეშო, გველმა დაჰკბინა...
ძმათ იანაგრძნობით ხმა ვერ გამცეს, ვეღარ მამხილეს,
ვერ ემარიგეს მახლობელი შავ სინამდვილეს...
ბარი კი მოძმეს მოქანცულსა ისარს მისობდა...
მთა ოვლს მაყრიდა, თეთრ სუდარას სწრაფათ მქსოვდა...

2.

იქნებ ყინვის ქვეშ სევდა ვაგდო მე საუკუნო
და წრთმეული სასოება იქ დავიბრუნო..
უნდობი ჟინი ქარს ჩავუგდო, ყომრალო ღრუბლებს:
ნელად ედინოს იგი ცრემლათ ყინვის ლოლუებს

ასამანი.

## დაწვრილებითი ცნობები ტაშკენტში ჯარების აჯანყების შესახებ.

„ნოვოე ვრემიას“ ცნობით აჯანყებამდე რამოდენიმე კვირით ადრე ცოდნიათ, რომ საპიორთა შორის მშვიდობიანობა არ იყო. ამტკიცებდენ, რომ ბანაკში სამი ვერსის მოშორებით მიდვრებში სალდათებმა რამოდენიმე კრება გამართეს. გახშირდა პროკლამაციების გავრცელება, იყო რამოდენიმე შემთხვევა, რომ სალდათი დემონსტრატიულათ არ ემორჩილებოდა უფროსის განკარგულებას, ერთმა როტამ, ვითომდა ცუდი საჭმლის გამო, პროტესტიც კი განაცხადა და სხვ პირველ ივლისს, როცა საიითაოთ გამოძახების და საღამოს ლოცვის შემდეგ სალდათები დაიშალენ, უცებ თოფის ხმა მოისმა, რომელიც ნიშნის მიმცემი გამოდგა. თითქოს უბრძანა ვინმემო — სალდათებმა დაავლეს თოფებს ხელები და ბანაკის ახლო გზაზე გამოვიდენ. ხელათ შეუდგნენ რიგრიგათ ჩამწკრივებას, მოუწოდებდენ სხვა ამხანაგებსაც. მოწოდებათა შორის ისეთსაც გაიგონებდით, რომელსაც ადგილი ქონდა ცხრაას ხუთ წელში. ზოგი სალდათი ყოყმანით უერთდებოდა აჯანყებულებს, რომლებმაც ტყვია დაუშინეს ოფიცრების სადგომებს. აჯანყებულთა რიცხვი უცებ იზრდებოდა და ვინ იცის საქმე სანამდე მივიდოდა, რომ მეორე როტის საპიორთა ბატალიონის უფროსს სიმარჯვე არ გამოეჩინა; პირადი მაგალითით მან გაუძღვა იქონია თავის როტაზე: საბრძოლველათ გამზადა და აჯანყებულთა წინააღმდეგ წაიყვანა. აჯანყებულნი თავს იცავდენ და თანაც უკან იხევდენ. ამ დროს მათ ჩამოშორდა ორჩოფულ მდგომარეობაში მყოფი ნაწილი და განმარტოვებულათ დაახლოვებით ოთხას ორმოცდა ათამდე კაცი დარჩა. გამარჯვება მათკენ იყო. ამ დროს მსროლელთა როტები გამოჩნდა და აჯანყებულებმაც მათ დაუშინეს ტყვია, ისინიც პასუხს აძლევდენ. აჯანყებულნი აირდაირიენ, მარა კაზაკების გამოჩენამდე მაინც მედგრათ იცავდენ თავს. ხოლო დაინახეს თუ არა კაზაკები, საბნელით ისარგებლეს და აქეთ-იქეთ მიიმალენ. ამავე დროს თვით ბანაკშიც არ წყდებოდა ერუ უკმაყოფილება, რის გამო მოსული ჯარები ჭომნების ხმამაღალი სიმღერით ცდილობდენ რევოლიუციონურ ამოძახილების და სიმღერის ჩაქრობას. როცა მთელ ბანაკს ჯარები შემოერტყა, ნახევარზე მეტი საპიორებიდან სულ გაიფანტა. მეორე დილას კაზაკებმა და ჯარების სხვა ნაწილებმა იარაღი ახადეს და დაატუსაღეს ოთხასზე მეტი კაცი.

— „ვეჩერნეე ვრემიას“ გადმოცემით ტურქესტანის ჯარებში დიდი ხანია მზადდებოდა ეს არეულობა რევოლიუციონურ პროპაგანდით, რომელსაც აგიტატორები ეწეოდენ ბანაკის ახლო სოფ. ტროიცკოეში. არეულობის მოხდენამდე ოთხი დღით ადრე იცოდა ერთმა კამანდირმა, თუ რა მზადდებოდა. სალდათების თვალყურის დევნებას უმატეს. ოფიცრები უოველდამე მოულოდნელათ ათვალიერებდენ და სინჯავდენ სალდათებს, მარა უწესოება ვერაფერი ნახეს. სალდათებ შორის აჯანყების წინააღმდეგიც იყვენ, მარა არც ამხანაგები გაუციათ და არც არეულობაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ. გარდა ასოცდაათ სალდათისა, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში, სამართალში მიცემულ იქნება კიდევ ოცი — ამ დღეს გაქცეულნი. დაწვრილებითი ცნობები აჯანყების შესახებ თურქესტანის ჯარების უფროს სამსთოვისაგან სამის დღის შემდეგ მოვიდა სამინისტროში. პარიზში დეპეშით ცნობა გაეგზავნა გენერალურ შტაბის უფროსს კავალერიის გენერალს ჟილინსკის. იმ ადგილს, სადაც არეულობა მოხდა სამხედრო მინისტრის ბრძანებით იგზავნება უმთავრესი სამხედრო პროკურორი.

## მეოთხე დუმის გარშემო.

კიევში მემარჯვენეთა ორგანიზაციებმა ამრჩევლებისადმი მოწოდება გამოუშვეს. მათის აზრით მესამე დუმა ვერ იყო წმინდა რუსული, რადგან შიგ „კრამოლნიკებიც“ ყოფილან. ამისათვის ამომრჩეველნი უნდა ეცადონ, რომ მეოთხე დუმაში მათი სახსენებელიც არ იყოს და ისეთი პირები აირჩიონ, რომლებიც მომხრე იქნებიან სიკვდილით დასჯის და საზოგადოთ რეპრესიების.

— ეკატერინოსლავის გუბერნიის „სტაროობრიადცები“ პირველათ მემარჯვენეთ ემხრობოდენ, მარა როცა დაინახეს მართლმადიდებელ სამღვდელოების საარჩევნო კომპანიაში ენერგიული ჩარევა,—მარცხნივ გადიხარეს.

— კიევის გუბერნატორმა ქალაქის თავს წინადადება მისცა, რომ საარჩევნო სიებში შეიტანონ ყველა ის ბერები, რომელნიც სასმელ-საჭმელს მონასტრის სამზარეულოდან იღებენ. იმათ მეორე კურიის ამრჩეველთა სიაში ჩასწერენ. უკანასკნელის ცნობით ასეთი ბერების რიცხვი 4000-მდე იქნება.

— მოსკ[illegible] „რ. ს.“ [illegible]

გამოცოცხლებაა, ყოველ დღე ბევრი განცხადება შედის ქალაქის გამგეობაში.

— კოზლოვში საარჩევნო სიები ერთობ კურიოზულათ შეუდგენიათ. სიებში შეუტანიათ ბავშები, უკვე გადაცვლილნი, კატორღელები, შეშლილები და სხვ. სიები უკან დაუბრუნეს ქალაქის გამგეობას.

— ეკატერინოსლავის შავრაზმელები ერთობ მხურვალეთ ემზადებიან არჩევნებისათვის. დადიან კარი-კარ და ამრჩევლებს თავის ხელით განცხადებებს უწერენ. ერთმა შავრაზმელმა ერთბაშათ ოცი ესეთი განცხადება მიიტანა გამგეობაში.

— მინსკის პოლონელ მემამულეებმა დააარსეს საარჩევნო კომიტეტი; თუმც გამარჯვების იმედი ნაკლებათ აქვთ, მარა მაინც ენერგიულათ მოქმედებენ.

— დონის როსტოვში რაც დრო მიდის ამრჩეველნი უფრო ენერგიულათ ეკიდებიან საქმეს და სიჩქარით ეწერებიან საარჩევნო სიებში.

— ბელგოროდის პოლიცია უკანონოთ მოითხოვდა ამრჩეველთაგან, რომ თხოვნებზე ღერბის მარკები დაეკრათ.

— კერჩის გაზეთი „იუგი“ საარჩევნო სიებში ჩასაწერ ვადის შესახებ წერილის დასტამბისათვის ორასი მანეთით დააჯარიმეს. რადგან რედაქციამ ჯარიმის გადახდა ვერ შესძლო, რედაქტორი ციხეში ჩასვეს, რის გამო გაზეთის გამოცემა შეჩერდა.

— ადესის პოლიცმეისტერმა შეკრიბა ბოქაულები და აუხსნა თუ როგორ უნდა მიეცეს მოწმობები პენსიონერებს და ბინის დამქირავებლებს. ამის შემდეგ ყველას დაუბრკოლებლივ ეძლევა საჭირო მოწმობები.

## უცხოეთი.

(გაზეთებიდან)

**ინგლისი.**

სუფრაჟისტკების ტერორისტული ნაბიჯები თანდათან მკაცრ ხასიათს იღებს. ასკვიტის ირლანდიაში წასვლით ერთობ ისარგებლეს და დემონსტრაციებისა და თავდასხმათა მთელი რიგით გაუმასპინძლდენ პრემიერს. რომ ამ გზით უნდოდა გამოეყენებიათ პრემიერის წასვლა სუფრაჟისტკებს, ეს უკვე იცოდა—პოლიციამ და ამისათვის იყო, რომ პრემიერის დასაცავი ზომები მიიღეს. ასკვიტი უდროო დროს გამოვიდა გემში ჩასაჯდომათ, მარა სუფრაჟისტკებმა მაინც გაიგეს და მედგრათ დაედევნენ პოლიციელებმა ძლივს შეაკავეს ისინი. დუბლინში უარესი განსაცდელი დაადგა. ახალგაზდა სუფრაჟისტკამ გამარჯვებული ნაჯახი ესროდა, მარა დონივრათ მოუქნევლობის გამო მიზანს ვერ მიაწია—ნაჯახი პრემიერის ფეხებთან დაეცა. შემდეგ განიზრახეს იმ თეატრის დაწვა, სადაც ასკვიტს უნდა ელაპარაკნა ჰომრულზე. რაკი ეს ვერ მოახერხეს, დეკორაციებს დაუპირეს დაწვა. მეორე დღეს პოლიციამ დაიჭირა რვა სუფრაჟისტკა, რომელთ ბინებზე აღმოჩნდა თოფის წამალი და სხვა.

**საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობა.** საერთაშორისო პროფესიონ[illegible] კავშირების სეკრეტარიატის ანგარიში[illegible] დათ სჩანს, თუ რამდენათ წინ წავი[illegible] ლეტარული მოძრაობა. სეკრეტარია[illegible] რიშში ნაჩვენებია 1910 წ. მოძრა[illegible] ბები ვერ მიუღიათ ბელგიიდან, და ამერიკის შეერთებული შტატ[illegible] გამო ქვემო მოყვანილ ცხრილშ[illegible] ბის მუშათა რიცხვი 1909 წ. ექ[illegible] დენი მუშა ყოფილა სხვადას[illegible] პროფესიონალურათ შეკავშირებ[illegible] [illegible] 2347, [illegible] 977,350, [illegible] 1 [illegible] 1434850, [illegible]

კად სცდებით. ნინას თქვენ არ უყვარხართ! არ უყვარხართ!

— ნინა, ამ ორი დღის წინათ, საღამოს, მოიგონეთ, თქვენ იმ კაცს კოცნიდით, რომელსაც ეხლა ეუბნებით—არ მიყვარხარო!

— თქვენ გინდათ მაგით დამსაჯოთ—ღირსი ვარ სასჯელის! ამ ორი დღის წინეთ, საღამოს მე მართლაც რომ ვაკოცე კაცს, ვაკოცე კაცს მეორე, ყოვლად პატიოსანი, კეთილშობილი და საყვარელი კაცის ცოლმა. ეს სისაძაგლე ჩავიდინე მე და ღირსი ვარ სასჯელის... დამსაჯეთ, ერთხელ კიდევ გაიმეორეთ! წადით, უთხარით სხვებს, მათაც დამსაჯონ, დამცინონ.

— ნინა, თქვენ პატიოსანი ქალი ხართ...

— არ ვარ მე პატიოსანი.

— თქვენ პატიოსანი ქალი ხართ, ნინა, და ერთ კითხვაზე მიპასუხეთ, გულ ახდილათ, ვაჟკაცურად მიპასუხებთ?

— ბრძანეთ!

— ნინა, მითხარით, თქვენ გაწუხებს მხოლოდ ის, რომ ქმარს, კანონიერ ქმარს... როგორ ვთქვა არ ვიცი.

— თქვით, ნუ გეშინიათ—კანონიერ ქმარს უღალატე-თქო.

— კარგი, თუ გინდ ასე იყოს... თქვენ გაშინებთ და გაწუხებთ მოვალეობის დარღვევა არა?

— ბ-ნო ვასო, როცა გიორგი დაატუსაღეს, იმ ღამეს მან გადამკოცნა მე და მითხრა: „მშვიდობით, ნინა... აბა შენ იცი!“

— და თქვენ ეხლა სინიდისი გაწუხებსთ?

— მოითმინეთ! მას შემდეგ ორი წელი! ამ ორი წლის განმავლობაში გიორგის არც ერთ წერილში, არც ერთ შემოხვედრაში, არც ერთ ხუმრობაში ეს სიტყვა აღარ გაუმეორებია. და მე დარწ-[illegible]

— მაშასადამე თქვენ ამ ნდობის დარღვევა გაწუხებთ და გაშფოთებთ!

— ესეც რა თქმა უნდა, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ თურმე მე ის მყვარებია ღრმათ და ძლიერათ, მე ის მყვარებია მთელი ჩემი არსებით, მთელი ძალ-ღონით...

— და არაოდეს, არაოდეს მე არ მჭერია თქვენ გულში ალაგი?

— აი ეს არის უბედურება, რომ თქვენ მომწონდით მე.. ეს გაუგებარია ჩემთვის, მაგრამ ეს ასე არის... თქვენ ოსტატურათ, დახელოვნებულათ მაწონებდით თავს და ერთხელაც, ერთხელაც არ დამისვამს კითხვა ამის შესახებ ჩემ გულში, ერთხელაც არ დაფიქრებულვარ, არ მომსურვებია გარკვეული ვიყავ ამ გრძნობაში... და გიორგის დატუსაღებამ, თქვენთან ხშირათ ყოფნამ მე როგორც ხელავთ მომიყვანა აქამდი.. და როცა დაბოლოს დავფიქრდი, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც დავინახე ყველაფერი. თურმე გიორგი ჩემ გულში შეურყევლათ ზის. ეს ქალი ვარ, ვასო... ძნელია ქალობა! რა ვიცი მე—რატომ ვარ ასეთი ქალი... რა ვიცი მე—რა მიტაცებდა თქვენში, რა მიზიდავდა... რა ვიცი მე — სამი წლის განმავლობაში რათ მგვრიდა სიამოვნებას თქვენი ჩემდამი მოსწრაფება!რათ არ ვფიქრობდი, რომ ეს არ იყო პატიოსნება ჩემი მხრით. მე აზრათაც არ მომსვლია არაოდეს, რომ გიორგის ვუღალატებდი და ერთხელაც არ მიმღია კი ზომები თქვენ წინააღმდეგ... დღეს ეს წასულია უკვე, ვასო, და გეუბნებით გულ-ახდილათ. თქვენ ყოველივე ფასი დაკარგეთ ჩემ თვალში...

— ნინა, ნუ ხართ მგრე სასტიკი...

— მე სამაგიეროს გიხდით... თქვენ არ იყავით სასტიკი ჩემთან? თქვენ იქცეოდით რიგიანათ? თქვენ არ ისარგებ-[illegible]

და სისუსტეს! მზობენ—სიყვარულში რაც უფრო გაბედულია და საშვალებების წინაშე დაურიდებელი კაცი, მით უფრო იპყრობს ის ქალაკაცს. ჩემ შესახებ ეს არ გამოდგა მართალი. თქვენ რომ ამ ორი წლის განმავლობაში არ დაგეწყოთ ჩემთან ბრძოლა, იქნება... იქნებ დაგეძლიეთ! ეხლა კი... ეხლა... ეხლა ძლეული ვარ მე, ვასო, მაგრამ მძლეველს არ ვეკუთვნი... ეხლა მე უბედური ქალი ვარ. როგორ შევხედო იმას, ვინც მე მიყვარს? რა ვუთხრა მე იმას? რა პასუხი გავცე? ის რომ გამიღიმებს, მე სად დავიმალო მაშინ.. ხომ მუდამ თქვენი სახე უნდა იდგეს ჩემსა და იმის შორის.... აჰ, თქვენც... რას გავხართ, ვასო, თქვენ! მე სასტიკი ვარ, შეუბრალებელი ვარ—რას გავხართ თქვენ, როგორი ფერი გადევთ! თქვენ, როცა თქვენს მკლავებში ვიყავი მე, მაშინაც ტიროდით თითქმის და ეხლაც ტირილს აპირებთ არა, ასეთი არ უნდა იყოს საყვარელი, არ უნდა ასეთი! მე, ვინც მიყვარს, ის უნდა იყოს მაგარი, როგორც კლდე! ის მუდამ უნდა იღიმებოდს ისე როგორც გიორგი!.. და თქვენ... თქვენ... თქვენ უფლება გაქვთ დაიქოთ, რომ დამძლიეთ ერთხელ მე...

— მშვიდობით, ნინა!

— მოითმინეთ! დღეს მე გიორგ ვინახულე! და იმას გადავეცი წერილი, შევატყობინე რომ მე საძაგელი და დაცემული ქალი ვარ... შემდეგში ვეტყვი ყველაფერს... დეე მკრას წიხლი და მომიშოროს თავიდან, მე მისი მონა ვიქნები, მისი მოსამსახურე, მისი მალმერთებელი... დღეს მე მას ყველაფერი მივწერე—ა კი მიღიმოდა, მან გადამკოცნა, მან მითხრა: „ნინიკ, ქვეყანაზედ მე და შენ ობიები ვართ და არავინ გაგვაჩნიაო!“ კიდამ ვუთხარი-ამხანაგები შენი, გიორგი, რათ დაგავიწყდა, მე ყველას უნდებვარ მეთქი... ხა, ხა, ხა! რა იქნებოდა რომ მექვა! [illegible]

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის ძ-ბი | სავაჭრო სახლი

ამით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მიღებულია რკინის კოჭები (двутавровыя балки), ალიბასტრი ბახმუტის საუკეთესო ხარისხის, ცემენტი პორტლანდიის და იყიდება ზომიერ ფასებში.

? დავით ქებაძე ?

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით

სავაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების სავაჭროში

იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ქვაბები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და მარმარილოს პირ-საბანები და სხვა. დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების.

პარტიით მყიდველთა საყურადღებოდ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები,

ფასები შესამჩნევად დაკლებულია.

შვეციაში 121180. ნორვეგიაში 47,453, ფინლიანდიაში 27,928. გერმანიაში 2,688144, ავსტრიაში 451,232. ბოსნია და ჰერცოგოვინაში 6269. ხორვატიაში 6805. ვენგრიაში 86778. სერბიაში 7418, რუმინიაში 8515, შვეიცარიაში 93797. იტალიაში 783588. ისპანიაში 40984. ამერ. შეერთებულ შტატებში 1710433.

ყველა ამ ცამეტი ქვეყნის კავშირებს წლიური შემოსავალი ქონებიათ 39523814 მან., გასავალი 34971871 მან., ხელში ქონებიათ 34254104 მ. ხარჯები უმთავრესათ გამოხატულია მუშათა დახმარებაში (11983608) და გაფიცვებით ბრძოლაში (10665565 მ.)

### ოსმალეთი.

როგორც ვიცით, ოსმალეთში კრიტიკულ მდგომარეობის გამო იძულებული იყო გადამდგარიყო მინისტრთა კაბინეტი; მის ადგილს შედგა მეორე კაბინეტი გაზი-მუხტარ-ფაშის მეთაურობით. ამ კაბინეტის ზოგიერთი წევრები მტრები არიან ახალგაზრდა ოსმალთა, რის გამო ბევრი თვალსაჩინო წევრი ამ პარტიისა სტამბოლს თავს ანებებს. ამ ნაირათ ეს სამინისტრო ახალგაზრდა ოსმალების რეჟიმის ასე თუ ისე საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებს. და ვინ იცის შეიძლება ახლო მომავალში სულ დამარხონ იგი.—

### წერილი ოზურგეთიდან.

(საქალაქო თეატრის აშენების გამო ორიოდე სიტყვა ბ. ეკაშვილს.)

მართალია, ოზურგეთი უკაცო ქალაქი არ არის, მაგრამ აქ ისეთი გულგრილობაა გამეფებული, რომ დიდი უმრავლესობა ყურმოჭრილ მონას მოგაგონებთ. ყველა რაღაც შიშს შეუპყრია და საზოგადო საქმეს ისე გაურბიან, როგორც თაგვი კატას. სამაგიეროთ არშიყობა, ქეიფი, კარტ-ნარდი საშინელი სისწრაფით მატულობს და ლამის ჩანთქას ის ორიოდე ჯერ კიდევ ცოცხალი ელემენტი, რომელსაც სანახევროთ მაინც შერჩენია სიყვარული საზოგადო ინტერესისადმი. და აი, სწორეთ ამ დროს, იჩეკებიან ახალი „კორესპონდენტები“ (მაგ. ბ. ი. ეკაშვილი) და ვინ იცის რაებს არ მიედმოედებიან გაზეთის ფურცლებზე. თავიანთ პირად ინტერესებს საზოგადო ინტერესის სახელით ნათლავს და მით ხშირათ შეცდომაშიც შეყავს გაზეთის რედაქტორიც.

ბატონებო, უთეატროთ სული გვეხუთება, სულ ყოველთვის გაჰყვიროდნენ, თეატრი, თეატრიო და სხვა და აი გამოჩნდენ ისეთი პირები, რომლებმაც იკისრეს თეატრის აგება თავისი ხარჯით, და ამ დროს ბ. ეკაშვილი „ბათუმის გაზეთის“ მე 140 ნომერში უკიჟინებს მათ და ამბობს: ქან... ის მოყვარე მოდენიმე კერძო პირმა ...დი სამსახური გაუწია ქალაქის მა... და 8 წლის იჯარით აიღეს თეა... შენობის აგებათ. 8 წლის შემ... თეატრი გარდა შინაგანი მოწყო... ქალაქის სასარგებლოთ გადავა ...ოთ. თეატრი ცემენტის ბალა... ...ბული ხის შენობა უნდა იქნეს. ...უკვე მზა აქვთ ამშენებელ ...რებს“. ბ. ეკაშვილი წუხს ...ს, თუ... ძლიერ სუსტათ, ...ის უნდა რომ „კერძო პი... ...ს. მას უეჭველათ სურს, ... თეატრი; მაგრამ ვეკითხე-

ბი ი. ეკაშვილს, დაესწრო თუ არა ის ქალაქის იმ საზოგადო კრებას, სადაც თეატრის და თვითმართველობის შენობის აგებაზე „კერძო პირები“ სხვა „კერძო პირებთან“ არ გეგონოთ მოქანქარენი ერთათ ჩასჩიჩინებდენ ხალხს ამ საქმის როგორმე მოსაგვარებლათ, მაგრამ აქაური რეაქციონერების მეოხებით, რომელთაც ასე სძაგთ თეატრი, ვერას გახდენ?! არა, ეკაშვილმა ეს არ იცის, ის არასოდეს არ დასწრებია კრებას, არც ერთ საზოგადო კითხვას არ შეხებია და მით უმეტეს, არ ცდილა მის განხორციელებას.

მხოლოთ მას ხელი შეუწყვეს სამწუხაროთ დაცემული წრის წარმომადგენლებმა, რომლებიც უსახელო წერილებს უგზავნიან თეატრის ამშენებლებს, რის გამოც მოსალოდნელია საქმის ჩაფუშვა. რას იტყვით მაშინ, მართლაც ასე რო მოხდეს და თქვენი და თქვენი ამყოლი პირების წყალობით უთეატროთ დავრჩეთ?

არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ მივმართო თეატრის ამშენებელთ: თუ თქვენ—თქვენ დანაპირებს სისრულეში არ მოიყვანთ და ასეთ „კორესპონდენტების ფეხის ბრახუნს“ აყვებით ან დაცემულ პირთა უსახელო კერძო წერილებს დაუჯერებთ, მაშინ ჩვენ სულ სხვა სახელს ვუწოდებთ თქვენს საქციელს, რის საბუთი გვექნება კიდეც!

„ხო“—.

### მუშათა ცხოვრება.

ქუთ. რკინის გზის ტოტზე მომუშვე კონდუქტორები. 60 კონდუქტორი მუშაობს ამ ტოტზე, მარა უნდა აღვნიშნოთ სამწუხაროთ, რომ თითქმის ყველას დაუკარგავს წესიერების შეგნება და ურთიერთისადმი პატივისცემის გრძნობა; საზოგადო ინტერესების დაცვა ხომ სულ არ არსებობს მათთვის ამ ქვეყნათ. ისინი თავის სამსახურის რიგს და წესიერებასაც ველარ იცავენ. შეიყრებიან კანტორაში, ასტეხენ ხოლმე ერთ აურზაურს, ყვირიან: არა მე მერგება ახლა წასვლა სამგზავრო მატარებელზე, არა მეო; ყველას უნდა სხვაზე ადრე წავიდეს და „ტაბელჩიკს“ მოსვენებას არ აძლევს, ოღონდ მისივე ამხანაგი გადალახოს და წაართვას მისი სამგზავრო მატარებელზე წასვლის რიგი ხოლო წესიერება ფეხებზე კიდია. მათი ასეთი ყვირილ-ხივილის და ჩხუბის მაგალითი ხშირია, მარა ყველაზე უფრო თვალსაჩინო ამას წინათ, 11 ივლისს მოხდა, როცა უფროსი კონდუქტორი კანტორაში შევარდა და „ტაბელჩიკს“ განუცხადა: „უფროსიც მე ვარ და პირველათ ისევ მე გამგზავნეთო“! ასეთი ამბავი ძალიან ხშირია ამ ვითომდა მოსამსახურეთა შორის და ძალიან ხშირათაც მოხდებოდა მათ შორის თავ-პირის მტვრევა, რომ აქ სათანადო პოლიცია არ იყოს. დროა გონს მოვიდენ და რიგიანობას შეეჩვიონ.

გამვლელი.

### ღია წერილი ბ-ნ ლადი ურუშაძეს.

ბატონო ლადი! პირველი მაისიდან ამა წლისა 3-მი თვის განმავლობაში თქვენის დაკვეთით, დანიშნულ ალაგას მომქონდა გაზეთი „Зак. Рѣчь“-ი გაზეთის ფული ითვლება თქვენზედ 1 მ. 66 კ. ეს ფული არა ერთხელ მოგთხოვეთ, მაგრამ თქვენგან ლანძღვა—გინების გარდა პასუხს ვერ ვეღირსეთ და უკანასკნელად უარიც კი გვითხარით. თქვენ კარგათ იცით, რომ ეს ფული ეკუთვნის რედაქციას და არა მე. თქვენთან იმიტომ მოგროვდა 3-მი თვის ფული, რომ ვფიქრობდი მკითხველ ადამიანთან მქონდა საქმე, რომელიც ანგარიშს გაუწევს, როგორც გაზეთს, ისე პიროვნებას მეთქი. მაგრამ ეს იმედი აღარ გამიმართლდა თქვენთან და ამ წერილით უკანასკნელად გთხოვთ შემოიტანოთ ხსენებული ფული ე. ი. 1 მ. 66 კ. წინაამდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები თქვენს საქციელს პრესაში შესაფერი სახელი ვუწოდო.

გაზეთის დამტარებელი ხ. ნიკოლაიშვილი.
ქ. ფოთი

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩემს წერილს დაუთმოთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთ „ჩვენი ცხოვრება“-ში.

დ. ნაოღალევის წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს ქ. ნატალია დავითის ასულს ჟორდანიასას, რომელმაც ითავა და 31 ივნისს დ. ნაოღალევში გამართა ქართული წარმოდგენა სასარგებლოდ ადგილობრივ უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოსი. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია თამარ კილაძე, რომელიც არა ერთჯერ და ორჯერ იღებს მონაწილეობას ნაოღალევში საქველმოქმედო მიზნით გამართულ წარმოდგენებში. მადლობას სწირავს გამგეობა აგრეთვე ქუთაისის მესტამბე ივანე კილაძეს, რომელიც მუდამ უფასოთ გვიბეჭდავს აფიშებს და ბილეთებს. მადლობას ვწირავთ აგრეთვე ცოლ-ქმარს შმიტს, რომელთაც ითავეს და თავიანთი შრომით გაწყვეს წარმოდგენასთან საუცხოვო ბუფეტი. დასასრულ, გამგეობა მადლობას უძღვნის ყველა წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ. საერთო შემოსავალი წარმოდგენიდან და ბუფეტიდან იყო 190 მანეთი, ხოლო წმინდა, მოგება ხარჯს გარდა დარჩა 110 მანა, რომელიც გადაეცა ხაზინადარს გამგეობისას ქვრივ იასონ ჟორდანიას,

წევრი გამგეობისა
ბლად. მღ. რაჟდენ ჯალაღანიძე

რედაქტორ-გამომცემელი
ა. სულაქველიძე.

### ქუთაისის ბაზარი.

ფუთი სიმიდის ფქვილი ღირს მანეთი და ორი შაური—ექვსი აბაზი.

ფ. სიმიდი—თუთხმეტი შაური—ოთხი აბაზი და ერთი შაური.

ფ. ლობიო—შვიდი აბაზი, ჭყინტი ლობიო—შვიდი შაური.

ფ. კომბოსტო—აბაზი.

ფ. ქარტოფილი—7 შაური—ორი აბაზი

ფ. ხალი ხახვი—ოთხი აბაზიდან მანეთამდე.

გირვანქა ერბო (კარაქი)—ოცდა თვრამეტი კაპიკი—ორი აბაზი

ყველი ორ გირვანქა ნახევარი (ჩარექი)—ორი აბაზი.

ყველი გირვანქა—აბაზი.

გამოზელილი ყველი (სულგუნი) წყვილი—ხუთი შაური—ექვსი.

პური ფურნისა პირველი ხარისხის—სამი გირვანქა—ცამეტი კაპიკი, მეორე ხარისხის თორმეტი კაპიკი მესამე ხარისხის ორი შაური.

თორნის პური პირველი ხარისხის სამი გირვანქა თოთხმეტი კაპ. მეორე ხარისხის 13 კაპ.

ხორცი—ძროხისა ცამეტი კაპ.—თერთმეტი კაპ. (ადგილობრივი)

ხორცი—ცხვრისა ცამეტი კაპ.

ხორცი—კამეჩისა რვა კაპ.

ქათამი—ათი შაური—ოთხი აბაზი.

ვარია—აბაზი—ექვსი შაური.

შეშა—ურემი შვიდი აბაზიდან—ცამეტამდი.

ღვინო ადგილობრივი ფუთი—თორმეტ აბაზიდან—თექვსმეტამდი.

კიტრი—ასი ორ აბაზათ, არჩეული ათ შაურათ—ივა-ათი—შაურათ.

სხალი—ფუთი ორი აბაზი—ათი შაური.

თხილი— „ თვრამეტი შაური დაურჩეველი, ორი მანეთი დარჩეული კაკალი.

პამიდორი ფუთი—ათი შაური—სამი აბაზი.

თევზი რიონის გირვ. შვიდი შაური

ეტლი ერთიგზა ქალაქში ხუთი შაური, სადგურამდე შვიდი შაური. სადგურიდან ცხრა შაური.

მუშა ხელი.

მიწის მუშა დღეში თავის ხარჯით—ოთხი აბაზი—მანეთი.

დურგალი ექვსი აბაზი—რვა აბაზი.

კალატოზი, რვა აბაზი—ცხრა აბაზი.

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.
(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33. 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათომისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 3 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ

**ბათომიდან:** სახალხო № 32 3 ს 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია

ძმათა ღლონტებისა

ქალაქ ფოთში (გ. რუხაძის გვერდით).

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ფოთისა და მახლობელ რაიონების საზოგადოებას, რომ ჩვენ სავაჭროში მიღებულია და ვღებულობთ ყოველ დღე დიდძალ შემდეგ საქონელს: ჭურჭლეულობა ფაიფურისა, ფაიანსისსა, ბროლისა, სპილენძისა, ემალისა, ალიუმინისა, ნიკელისა, თუჯისა და სხვა. ყოველგვარი მუზიკალური იარაღები, საპარიკმახერო ნივთები, სამოვრები, კლიონკები, სხვადასხვა ნაირი სახრაკავი მანქანები, ლამპები ყოველგვარი გაზით მახურებელი სისტემის „Т-ВО СВѢТЪ“. მაღაზიებისათვის, კანტორებისათვის და რესტორანებისათვის ვიძლევით სრული გარანტიით. აგრეთვე მიღებულია დიდძალი მელხიორის ნივთები, გვირგვინები, საკერავი მანქანები საუკეთესო სისტემის, ყოველგვარი სკამები, კრაოტები, მარმარილოს პირის საბანები, სარკეები და ყოველგვარი ავეჯეულობა, სრული მორთულობა სახლებისა, სასტუმროებისა და სხვადასხვა დაწესებულებისათვის.

ფასები დანიშნულია ძლიერ მიწევნით დაკლებული,

რაშიაც დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება თუ ერთჯერ მაინც კი შემობრძანდება ჩვენს სავაჭროში. პატივისცემით ალექსანდრე და ლევან ღლონტები.

„ჯეჯილი“

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი. ოცდა მესამე წელიწადი. მიიღება ხელისმოწერა 1912 წლისათვის. გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა. პატარაებისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში ეღირება 4 მანეთი, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მანეთი. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი აბაზი. ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძეს, ბაქოში—ქ. მართა კვიტაიშვილს, მიხაილოვში—ვლად. ჩიქოვანს, გორში—ნ. თამარა თარხნიშვილს, სამტრედიაში—რაჟ. ნანეიშვილს, თელავში—კნ. ნ. ოლოყაშვილს, სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს, ჭიათურაში—ქ. ჯაფარიძეს და ნიკო წუწუნავას, ბათუმში—მიხეილ კაჭანდაძეს.

რედ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან

გაიხსნა საზაფხულოთ

მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის

ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის

წვრილათ სავაჭრო

სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა. მ—1—4.

ელექტრო-მბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში